განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

შპს ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 16.02.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 1.04.21

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ევროპის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201954956
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სტომატოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომირებული სტომატოლოგი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0911 დენტალური მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 07.08.2015, გადაწყვეტილება #123

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნინო კორსანტია**, სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ეკატერინე ბეშკენაძე**, სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ზურაბ ალხანიშვილი**, სტომატოლოგიური ცენტრი "ალბიუსი", საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ვახტანგ თებიძე**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს ევროპის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია, ხორციელდება 2015 წლიდან, (07.08.2015, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი #123), (პირველი მიღება 2016 წელს), ამჟამად პროგრამა გადის რეაკრედიტაციას.

- რაც შეეხება დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პასუხში არსებულ შენიშვნას, რომ *„დასკვნის პროექტში პროგრამის სტატუსის ველში მითითებულია „აკრედიტებული" - ამჟამად პროგრამა ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში;* - დასკვნაში მითითებული ინფორმაცია პროგრამის სტატუსის შესახებ აღებულია თავად დაწესებულების მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტიდან.

საგანმანათლებლო პროგრამა სტომატოლოგიაში არის 5 წლიანი, მოიცავს სწავლების 10 სემესტრს და 300 კრედიტს. (1 კრედიტი - 25 ასტრონომიული საათი).

პროგრამით უნივერსიტეტში სწავლობს 103 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, თვითშეფასების ანგარიშში სტუდენტთა პროგრესიის ცხრილი შევსებულია 2019/20 სასწავლო წლის მონაცემებით და არ ჩანს სტუდენტთა პროგრესია 2020/21 სასწავლო წლების მიხედვით, თუმცა უნივერსიტეტში დაგვიდასტურეს 2020-ში სტუდენტთა მიღება. 2018/19 წლებში მიღება არ ყოფილა (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს სტუდენტების მიღება შეზღუდული ჰქონდა 2 წლის განმავლობაში).

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 43 აკადემიური (აფილირებული - 22) (პროფესორი-7 (აფილირებული - 5), ასოცირებული პროფესორი-10 (აფილირებული - 4), ასისტენტ პროფესორი-16 (აფილირებული - 10), ასისტენტი-10 (აფილირებული - 3) და 78 მოწვეული პერსონალი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერთა ჯგუფმა პროგრამის შესაბამისობის შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით განახორციელა დისტანციურად, თანამედროვე ტექნოლოგიების

გამოყენებით 2021 წლის 16 თებერვალს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადმოგვეგზავნა დოკუმენტაცია, დამატებითი საბუთები და მასალები, მოთხოვნის შემდგომ გადმოგვეგზავნა ელექტრონული ფოსტით. წინააღმდეგობების გარეშე ჩატარდა ჩვენთვის საინტერესო პირების გამოკითხვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვირტუალური დათვალიერება. ინტერვიუ ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე ჩატარდა ZOOM-ის აპლიკაციის პლათფორმით.

ინტერვიუს ნაწილი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარდა ინგლისურ ენაზე, გამოკითხულებმა აჩვენეს ენის სათანადო ცოდნა.

სტომატოლოგიის ინგლისურენოვან პროგრამას ჰყავს მხოლოდ 1 კურსდამთავრებული, ამიტომ ინტერვიუები ჩატარდა სტომატოლოგიის ქართულენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულებთანაც.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიმართულია თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალი სტომატოლოგის მომზადებისკენ. პროგრამა მიზნად ისახავს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას. მიზნებში იკვეთება მეცნიერული კვლევებისა და დარგის განვითარებაში წვლილის შეტანის საკითხებიც.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულების შემდეგ.

პროგრამის სწავლის 12 შედეგი მიზნებიდან გამომდინარეობს და მიზნებთან თანხვედრაშია. შედეგები გადანაწილებულია ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, თუმცა ხარვეზებით.

პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა, მასში ინტეგრირებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა სასურველია, რომ სპეციალობის პრაქტიკულ საგნებში სტუდენტთა კლინიკური მომზადება კიდევ უფრო გაძლიერდეს.

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის დაშვების წინაპირობები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

პროგრამის კომპონენტის შინაარსი, სტრუქტურა, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სტომატოლოგიის პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია და ეფუძნება საბაზისო მეცნიერებებისა და კლინიკური საგნების ჰარმონიულ შერწყმას, რაც მიიღწევა საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების ჰორიზონტალური ინტეგრაციის გზით.

ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა მეტნაკლებად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ძირითადი აქცენტი სტუდენტთა თეორიული მომზადებისკენაა მიმართული, რაც რათქმაუნდა აუცილებელია, ასევე საკმარისადაა პრაქტიკული უნარ-ჩვევების მანეკენებზე და ფანტომებზე შესწავლა, თუმცა მხოლოდ ფანტომებზე მუშაობა და ექიმების ასისტირება საკმარისი არაა კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მისაღებად.
კარგად სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამის მიუხედავად, სამწუხაროდ თითქმის ყველა სპეციალობის სასწავლო კურსის სილაბუსი არის დაუსრულებელი. სილაბუსში არ ჩანს პრაქტიკულად რას აკეთებს თვითონ სტუდენტი, მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსში წერია, რომ პრაქტიკული კომპონენტი ფასდება და მას მინიჭებული აქვს კონკრეტული ქულა. არ ჩანს რომელი პრაქტიკული აქტივობა ფასდება ფანტომზე, რომელი რეალურ პაციენტზე.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურის უმეტესობა თანამედროვეა. ლიტერატურა სტუდენტებისთვის ხელისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ასევე სტუდენტის ელექტრონულ ბაზაში, ელექტრონული ვერსიის სახით. გარდა სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვადასხვა სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობას. თვითშეფასების დოკუმენტიდან და ასევე ინტერვიუდან დასტურდება, რომ პანდემიის გამო ონლაინ სწავლებაზე გადასვლამ აუცილებელი გახადა ექსტრემალურ პირობებში მუშაობა, რასაც უნივერსიტეტმა საკმაოდ კარგად გაართვა თავი, ონლაინ კომუნიკაციისთვის გამოყენებულ იქნა Moodle პლათფორმა, რომელზეც ლექტორების მიერ იტვირთებოდა ლექციები და სხვა დამატებითი მასალები.

სილაბუსებში ასევე შეუსაბამობა იყო სასწავლო კურსის მიზანს, შედეგსა და სასწავლო კურსის შინაარს შორის. ზოგჯერ მიზანი არ იყო ასახული შედეგში, ან შედეგი არ იყო კორელაციაში შინაარსთან, ეს ხარვეზიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ როგორც ევროპის უნივერსიტეტის, ასევე სხვა უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში. უნივერსიტეტს კავშირები აქვს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, მათ შორის მედიცინის მიმართულებით, სტუდენტები მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში, მაგრამ სტომატოლოგიის პროგრამიდან ჯერ-ჯერობით აღნიშნული აქტივობა არ განხორციელებულა. ინტერვიუს დროს დაგვიდასტურეს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს, თუმცა მსოფლიოში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ჯერ-ჯერობით დაპაუზებულია.

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ინტერაქტიული ლექციები სემინარები (დისკუსია/დებატები, როლური თამაშები, ჯგუფური (გუნდური) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება), პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები

(პრაქტიკული უნარების დემონსტრირება, ლაბორატორიული მუშაობა, სიმულაციურ ცენტრში მეცადინეობა სიმულატორებსა და მანეკენების გამოყენებით, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, კლინიკური პრაქტიკა). პრეზენტაციები, პაციენტებზე მარტივი მანიპულაციების ჩატარება, ექიმების ყურება და ასისტირება. სასურველია გაიზარდოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლა უშუალოდ პაციენტებთან, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ, პროგრამის ერთ-ერთი მიზანიც ხომ კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მიღებაა.

სტუდენტის შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, ასევე, ინფორმაციას საკუთარი სუსტი მხარეების და მათი გაუმჯობესების შესახებ. საგამოცდო ნაშრომები დაშიფრულია და შესაბამისად შეფასების პროცედურებიც უფრო ობიექტურია.

უნივერსიტეტში გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ზეპირი გამოკითხვა, ტესტი - MCQ, ღია კითხვა, პრეზენტაცია, პრაქტიკული აქტივობა, ქვიზი, ლაბორატორიული მუშაობა, კლინიკური შემთხვევის განხილვა, იგეგმება OSPE, OSCE, რაც ასევე გაწერილია სილაბუსებშიც, თუმცა სადგურების დეტალიზაციის გარეშე, ჯერ არ არის დაზუსტებული ყველა სადგური, შესაბამისად არ არის მზად შეფასების ფურცლებიც. თუ პროგრამაში მითითებულია გამოცდის ფორმა, ისევე როგორც სხვაგანაა დაკონკრეტებული ქულების განაწილება ტესტებით, საკითხებით და სხვა, OSCE-ს შემთხვევაშიც უნდა ჩანდეს გამოცდის დეტალები. აკრედიტაციისთვის პროგრამა თავისი ყველა კომპონენტით უნდა იყოს დასრულებული სახით. ეს დანაკლისი აუცილებლად უნდა გასწორდეს.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - **შესაბამისობაშია მოთხოვნეთან**

სტუდენტებს ემსახურება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურეობის ცენტრი, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით ასევე განსაზღვრულია ტუტორებისა და ლექტორის თანაშემწის ფუნქციები. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ კონსულტაციები პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რაც განსაზღვრულია სემესტრულად დადგენილი საკონსულტაციო შეხვედრების განრიგით.

ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სტუდენტების ინფორმირებულობა აღნიშნული სერვისების შესახებ.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის გამხორციელებაში ჩართულია 121 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 43 აკადემიური პერსონალი და 78 მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი დიპლომებით, სერტიფიკატებით, პრაქტიკული გამოცდილებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და განვითარების პროცესში, რაც ინტერვიუს პერიოდშიც დადასტურდა.

დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელების მაღალი კვალიფიკაცია და უნარი უხელმძღვანელონ სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება - განვითარების პროცესს.

უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის დაწინაურების და წახალისების სისტემა, ხორციელდება ქულობრივი შეფასება (დადგენილია მინიმალური მოთხოვნები აკადემიური პერსონალისთვის) და გათვალისწინებულია ფინანსური დანამატები.

უნივერსიტეტს არ აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, თუმცა უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, სიმულაციური სტომატოლოგიური კაბინეტები (აღჭურვილი შესაბამისი მულაჟებით, საჭირო ინვენტარით, მასალებით და ინსტრუმენტებით) და პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები (27 სამედიცინო პროფილის და 10 სტომატოლოგიური კლინიკა) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ელექტრონული ბაზები, რომლის შესახებ ინფორმაცია და სარგებლობის წესები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ელექტრონულ პორტალზე.

მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებისა და განვითარების მხარდაჭერა, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ინტერნაციონალიზაცია, სტუდენტური კონფერენციები, პროფესიული პრაქტიკა და სხვა. გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ევროპის უნივერსიტეტში სისტემატიურად ტარდება პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. მიღებული შედეგები გამოიყენება არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად, მუშავდება სტრატეგია მათ აღმოსაფხვრელად, საუკეთესო შედეგების შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად.

პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ხდება საგანმანათლებლო პროგრამების შედარება წარმატებულ ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

წინა აკრედიტაციის ექსპერტების და უცხოელი ექსპერტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები განახლებულ პროგრამაში გათვალისწინებულია.

- **რეკომენდაციები**

1. გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, ლიტერატურული რესურსები, შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის მიზანი, შედეგი და შინაარსი;
2. სტომატოლოგიური მიმართულების სასწავლო კურსის სილაბუსებში დეტალურად აღიწეროს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა პრაქტიკულ ნაწილში, დაკონკრეტდეს ფანტომებზე, პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი, ამ ჩამონათვალში არსებულ თითოეულ მანიპულაციას მიენიჭოს ქულა, რომელსაც

სტუდენტი მიიღებს მისი შესრულების შემდეგ. ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურების შექმნით ან რაიმე სხვა დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტისთვის;

3. გაძლიერდეს სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. სტუდენტისთვის პაციენტის მიღება უნდა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, როგორც მიღებულია მსოფლიოს ძალიან ბევრს უმაღლეს სასწავლებელში და საქართველოს კანონმდებლობითაც დასაშვებია;
4. OSPE, OSCE-ის გამოცდების შეფასების სისტემა იყოს სრულყოფილი, ყველა შემადგენელი კომპონენტით, გამოცდის შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად, ჩანდეს რომელი კომპეტენციების შეფასება იგეგმება და როგორ იქნება ქულობრივად გადანაწილებული.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. თავისუფალი კომპონენტის კრედიტების დაგროვების რეალური სქემის შემუშავება;
2. მაღალ კურსებზე სასწავლო კურსების მოდიფიცირება და მათში ოპერაციული ოდონტოლოგიისა და ენდოდონტიის ინტეგრირება.
3. გამოცდილებასთან ერთად სასურველია OSCE-ს სადგურების რაოდენობის გაზრდა, რადგან 8 სადგურზე ნაკლები გამოცდის ეს ფორმა არარელევანტურია, ამისათვის კი უმჯობრესი იქნება, თუ გამოცდის ფორმა იქნება მხოლოდ OSCE, რომელიც შეფასდება მაქსიმალური 40 ქულით.
4. საფანტომო კურსებზე OSCE შეიცვალოს OSPE-ით - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდით.
5. სასურველია, თუ ფინალური გამოცდის გამსვლელი ქულა გაიზრდება და იქნება 50%+1-ზე მაღალი, 60% მაინც.
6. სასურველია სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებში მეტად წახალისდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და სტუდენტებს მიეცეთ სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვისა და შრომების გამოქვეყნების მეტი შესაძლებლობა;
7. გაიზარდოს სტუდენტთა და დამსაქმებელთა შორის ეფექტური კომუნიკაცია;
8. რეალურად მიღწევადი სწავლის შედეგების გაწერა ან უკვე არსებული სწავლის შედეგების მოდიფიკაცია და რედაქტირება;
9. სასურველია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება კონკრეტულად სტომატოლოგიის პროგრამასთან მიმართებაში, გაიზარდოს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;

10. სასურველია უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ ბაზებზე პაციენტებისთვის სტუდენტებთან მკურნალობა იყოს შეძლებისდაგვარად იაფი და შეღავათიანი;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  - გაუჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
  - შემუშავდა ნაწილობრივ ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზისო სასწავლო კურსების ჰორიზონტალური ინტეგრაციის ხარჯზე.
  - პროგრამას დაემატა კლინიკური უნარების განვითარების 4 სასწავლო კურსი, სამეცნიერო კვლევის 6 სასწავლო კურსი.
  - კლინიკური სასწავლო კურსების ფარგლებში ინერგება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE).

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიმართულია თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალი სტომატოლოგის მომზადებისკენ. წარმოდგენილი მიზნები, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამა მიზნად ისახავს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას. მიზნებში იკვეთება მეცნიერული კვლევებისა და დარგის განვითარებაში წვლილის შეტანის საკითხებიც. ასევე, პროგრამის მიზნები თანხვედრაშია ევროპის უნივერსიტეტის მისიასთან. პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ევროპის უნივერსიტეტის მისია; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

* **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
  მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზანია თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალი სტომატოლოგის მომზადება, რომელიც ფლობს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, რომელიც კვალიფიციურად გამოიყენებს კვლევით, ეთიკურ და კომუნიკაციურ უნარებს, რომელიც პროფესიულად განვითარდება მუდმივად ცვლად გარემოში.

პროგრამის სწავლის 12 შედეგი მიზნებიდან გამომდინარეობს და მიზნებთან თანხვედრაშია.

სწავლის შედეგები ნათელი, ლაკონური და გაზომვადია, შედეგებში გაწერილია როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკულ-კლინიკური კომპეტენციების ჩამონათვალი. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგზე გასვლას.

პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა, მასში ინტეგრირებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა სასურველია, რომ სპეციალობის პრაქტიკულ საგნებში სტუდენტთა კლინიკური მომზადება კიდევ უფრო გაძლიერდეს.

სწავლების მანძილზე სტუდენტების პაციენტებთან პრაქტიკული მუშაობა სტანდარტიზებული არ არის, დამოკიდებულია სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნებაზე, სტუდენტის სურვილზე. სტუდენტი პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს იძენს უმეტესად ფანტომებზე მუშაობით და ექიმის ასისტირების გზით. თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუდენტისთვის პროგრამის მიხედვით სავალდებულო არ არის პაციენტის მიღება და ინტერვიუს შედეგებითაც დადგინდა, რომ ეს ნებაყოფლობითია, ის რომ სტუდენტს შეეძლება "პაციენტზე ძირითადი კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, სამკურნალო ღონისძიებების გატარება, ადგილობრივი გაუტკივარების გაკეთება, გაუტკივარების შესაძლო გართულებების მართვა და სხვა", არასწორია, უმჯობესია მითითებულ იქნას, რომ აღნიშნული მანიპულაციების ჩატარება სტუდენტს შეეძლება ფანტომზე ან მანეკენზე.

უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსი ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ შედეგები კლინიკური უნარების კუთხით იყოს მიღწევადი.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების რუკა, გამოიყენება პროგრამის შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; შეფასების შედეგების მონიტორინგი პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება.

პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად არის ჩართული პროგრამის კომიტეტი, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. იმართება საკონსულტაციო შეხვედრები, ყოველი სემესტრის ბოლოს ივსება სპეციალური კითხვარები როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ანალიზდება განვლილი კურსის და მთლიანად პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები და იგეგმება მომდევნო სემესტრში განსახორციელებელი აქტივობები. აღნიშნული პროცესების ფარგლებში ხორციელდება სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების შეფასება და ანალიზი. პროგრამის შედეგების შეფასების ანგარიშის განხილვის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში მუშავდება კონკრეტული რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები შემდგომი ღონისძიებების შესახებ. პროცესს მონიტორინგს უწევს პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

დოკუმენტში ჩამოთვლილი 12 შედეგი გადანაწილებულია ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, თუმცა ხარვეზებით! ჩვენი აზრით ფუნდამენტურია, ცოდნა და გაცნობიერებაში გაერთიანებული იყოს სწავლის მხოლოდ ის შედეგი, რომელშიც ჩანს სტუდენტის ცოდნა და არა მოქმედებები, რომლებიც უნარებს ეკუთვნის. ისეთი ზმნები, როგორიცაა „იყენებს“, „ახორციელებს“, „ატარებს“ უკვე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ამსახველია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი, შედეგების გამოყენების ანგარიში;
- უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რეალურად მიღწევადი სწავლის შედეგების გაწერა ან უკვე არსებული სწავლის შედეგების მოდიფიკაცია და რედაქტირება;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	*			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის დაშვების წინაპირობები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება: სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს შემდეგი საგნები: ა) ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა (მინიმალური ბარიერი 80%), ბიოლოგია. ბ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ქიმია/მათემატიკა/ფიზიკა. თითოეული საგნისათვის გამოყოფილი კვოტირებული ადგილებია - 40%, 30%, 30%.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. ქართველ და უცხოელ აბიტურიენტებს სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობების შესახებ ინფორმაცია შეუძლიათ მოიძიონ ევროპის უნივერსიტეტის ქართულ და ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოიპოვებენ: პირები, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

ერთი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის უფლებით სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან ერთი სემესტრის დასრულების შემდეგ ევროპის უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან. ამასთანავე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ აბიტურიენტების მიერ ჩასაბარებელი საგნები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და შინაარსს და შესაბამისად, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა დაშვებას პროგრამაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციების დადგენის წესი;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://eu.edu.ge/ge).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტის შინაარსი, სტრუქტურა, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის საფეხურის შესაბამის განათლებას (ერთსაფეხურიანი) და პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (დიპლომირებული სტომატოლოგი / Doctor of Dental Medicine (DMD) შესაბამისობას. პროგრამაში მოცემულია და ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურსები ითვალისწინებს ფუნდამენტური (თეორიული, საბაზისო) და პრაქტიკული (კლინიკური) სასწავლო კურსების ინტეგრაციას. შესაბამისად, მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა უნდა განსაზღვრავდეს პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას, ამასთან ერთად პროგრამის სწავლების მეთოდების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და რაც მთავარია საბაზისო და კლინიკური (პრაქტიკული აქტივობით) სასწავლო კურსების თანაბარ და რელევანტურ ინტეგრაციას. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს ძირითადად საფანტომო კურსებს არსებულ საუნივერსიტეტო ბაზაზე, ხოლო კლინიკური როტაციის პირობებში - სტუდენტების მიერ ექიმების ასისტირების შესაძლებლობებს. სწავლების პროცესების ორგანიზება მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი

მეთოდების გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის შეძენას, ასევე გარკვეული კომპეტენციის და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას, რაც მიღწევადი იქნება პრაქტიკული კომპონენტის არამარტო ფანტომებზე ჩატარებით, არამედ პაციენტებზე შესასრულებელი მანიპულაციების ვალდებულებით.

სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა და აქტივობა განისაზღვრება ჯგუფებში მუშაობის, დისკუსია/დებატების, შემთხვევების ანალიზის, პრეზენტაციის და დემონსტრირების მეთოდების გზით. სწავლების ამგვარი მეთოდებისა და მათი კომპონენტების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდური და გუნდური მუშაობის შესაძლებლობების, კოგნიტური აზროვნების და ანალიზის უნარის განვითარებას. თითოეული სასწავლო კურსისთვის არსებობს დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამაში შემავალი სხვა წინა კურსის/კურსების საგნების გავლას. წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტისთვის, აღნიშნული მითითებულია ასევე კურსების სილაბუსებში, რომელსაც სტუდენტი ეცნობა.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 5 აკადემიურ წელს ანუ 10 სემესტრს და მოიცავს 300 კრედიტს. 1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს. სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.).

სტომატოლოგიის პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: ლექციებს, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას.

სტომატოლოგიის პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია და ეფუძნება საბაზისო მეცნიერებებისა და კლინიკური საგნების ჰარმონიულ შერწყმას, რაც მიიღწევა საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების ჰორიზონტალური ინტეგრაციის გზით.

პროგრამა მოიცავს: 1. ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს 270 კრედიტის მოცულობით. მათ შორის: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტებს 258 კრედიტის მოცულობით, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტებს 12 კრედიტის მოცულობით. საგანმანათლებლო პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს 30 კრედიტის მოცულობით, მათ შორის: ა) თავისუფალ კომპონენტს 20 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე; ბ) თავისუფალ კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

პროგრამით და ასევე ინტერვიუს შემდეგაც ჩვენთვის გაუგებარია, როგორ ხდება ამ 10 კრედიტის დაგროვება (5-5 კრედიტი, მე-5 და მე-6 სემესტრებში). პროგრამის მიხედვით, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები ნებისმიერი საგანმანთლებლო პროგრამიდან, თავისუფალი არჩევის პრინციპით. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა სასწავლო კურსი 5 კრედიტიანი არაა, ეს არჩევანი გარკვეულ ჩარჩოშია მოქცეული, სასურველია, ასეთი არჩევითი საგნების შემთხვევაში გათვალისწინებული იყოს კრედიტების „მარტივად გათვლადი“ თანაფარდობა, ან რაიმე

მოქნილი მექანიზმი, რომ კონკრეტულად ამ პროგრამისთვის მოხდეს სასწავლო კურსის მოდიფიკაცია 5 კრედიტად, შესაბამისი საათობრივი დატვირთვით. ან ეს 10 კრედიტიც გახდეს სტანდარტიზებული და მიემატოს არჩევითი კომპონენტის 12 ქულას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები; ○ ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://eu.edu.ge/ge).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ თავისუფალი კომპონენტის კრედიტების დაგროვების რეალური სქემის შემუშავება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების შინაარსი მოცემულია შესაბამის სილაბუსებში, რომლებიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სასწავლო კურსის სახელწოდება, განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სასწავლო კურსის სტატუსი, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად - საკონტაქტო და დამოუკიდებელი, სემესტრი, დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლება/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამატებითი ინფორმაცია.

სტომატოლოგიის პროგრამა მიმდინარეობს სემესტრულად და გააჩნია თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეულ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის შემუშავებული.

თითოეული სასწავლო კურსი შექმნილია საჭირო საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და წარმოდგენილია ასტრონომიული საათების პროპორციულად ECTS კრედიტებში.

ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა მეტნაკლებად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ძირითადი აქცენტი სტუდენტთა თეორიული მომზადებისკენაა მიმართული, რაც რათქმაუნდა აუცილებელია, ასევე საკმარისადაა პრაქტიკული უნარ-ჩვევების მანეკენებზე და ფანტომებზე შესწავლა, თუმცა მხოლოდ ფანტომებზე მუშაობა და ექიმების ასისტირება საკმარისი არაა კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მისაღებად.

კარგად სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამის მიუხედავად, სამწუხაროდ თითქმის ყველა სპეციალობის სასწავლო კურსის სილაბუსი არის დაუსრულებელი. სილაბუსში არ ჩანს პრაქტიკულად რას აკეთებს თვითონ სტუდენტი, მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსში წერია, რომ პრაქტიკული კომპონენტი ფასდება და მას მინიჭებული აქვს კონკრეტული ქულა. შესაბამისად სემესტრის განმავლობაში არ ჩანს რომელი პრაქტიკული აქტივობა ფასდება ფანტომზე, რომელი რეალურ პაციენტზე. ინტერვიუს და ბაზის ვირტუალური დათვალიერების შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტები აქტიურად მუშაობენ ფანტომებზე, თუმცა კონკრეტულად რას და როგორ აკეთებენ, არსად არ არის დაკონკრეტებული (კლინიკური უნარები 1, 2, სტომატოლოგიური მასალები, ოპერაციული ოდონტოლოგიის საფანტომო კურსი, ენდოდონტიის საფანტომო კურსი, ოპერაციული ოდონტოლოგიის კლინიკური კურსი, ენდოდონტიის კლინიკური კურსი, ქირურგიული სტომატოლოგია, იმპლანტოლოგია და სხვა).

სილაბუსების შინაარსში, თემატიკის ნაწილში ნამდვილადაა გაწერილი პრაქტიკულად შესასრულებელი მანიპულაციები, მაგრამ მაგ., საფანტომო კურსებზე 15 პრაქტიკული მეცადინეობიდან პრაქტიკული კომპონენტი ფასდება მხოლოდ 2-ჯერ და კონკრეტულად რა, არ არის მითითებული. თუ ზეპირი გამოკითხვა ტარდება 10-ჯერ, პრაქტიკული აქტივობის შეფასება, სპეციალობის სასწავლო კურსში, რატომაა მხოლოდ 2-ჯერ? რაც შეეხება

პაციენტებზე ჩასატარებელ მანიპულაციებს, მათი ჩამონათვალიც ასევე ზოგადია.

არ ჩანს როგორ ფასდება სტუდენტის მიერ პაციენტების მკურნალობის დროს ჩატარებული მანიპულაციები. არსად არაა დეტალიზებული, რომელ სასწავლო კურსზე, რომელ სემესტრში პედაგოგის ზედამხედველობის ქვეშ რა უნდა გააკეთოს სტუდენტმა პაციენტზე. სილაბუსებიდან და ინტერვიუებიდან ჩანს, რომ სტუდენტი თავისი სურვილით მკურნალობს პაციენტს და არა რაიმე ვალდებულების გამო. რათქმაუნდა აქ საუბარია სპეციალიზაციის ისეთ სასწავლო კურსებზე, სადაც შესაძლებელია კონკრეტულ კურსზე, პედაგოგის ზედამხედველობით არამხოლოდ პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენის, არამედ მარტივი მანიპულაციების ჩატარება.

დაწესებულებას ნამდვილად ვერ დავეთანხმებით, რომ პაციენტების მიღება არის სავალდებულო და პაციენტებზე განხორციელებულ მანიპულაციებში იწერება ქულა! ჩვენი რეკომენდაცია ეფუძნება ინტერვიუს შედეგებს, როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან, ისე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან! და არც სილაბუსებშია გარკვევით აღნიშნული კონკრეტულად რა მანიპულაციები ტარდება პაციენტებზე, პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ.

თერაპიული სტომატოლოგია, სადაც ყველაზე რეალურია პაციენტის მიღება, ისწავლება მხოლოდ საფანტომო კურსის რეჟიმში, მე-3, 4, და კლინიკური კურსის რეჟიმში მე-5, 6 სემესტრებში, უფრო მაღალ სემესტრებში არა. კარგი იქნებოდა, თუ გარკვეული ფორმით მოხდება მაღალ კურსებზე სასწავლო კურსების მოდიფიცირება და მათში ოპერაციული ოდონტოლოგიისა და ენდოდონტიის ინტეგრირება.

პრაქტიკული სასწავლო კურსების უმრავლესობის სილაბუსში გამოცდის ფორმად მითითებულია OSCE, გამოცდის ეს ფორმა ჯერ არ ჩატარებულა. ყველა სასწავლო კურსზე გამოცდა იგეგმება 4 სადგურზე, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რა დროში, რომელი კომპეტენციების შეფასება ხდება, ჯერ არ არის დაზუსტებული ყველა სადგური, შესაბამისად არ არის მზად შეფასების ფურცლებიც. ინტერვიუს დროს ამ შენიშვნაზე პასუხი ასევე ზოგადი იყო: ჯერ ყველა სასწავლო კურსის გამოცდის შინაარსი გაწერილი არ არის. თუ პროგრამაში მითითებულია გამოცდის ფორმა, ისევე როგორც სხვაგანაა დაკონკრეტებული ქულების განაწილება ტესტებით, საკითხებით და სხვა, OSCE-ს შემთხვევაშიც უნდა ჩანდეს გამოცდის დეტალები. აკრედიტაციისთვის პროგრამა თავისი ყველა კომპონენტით უნდა იყოს დასრულებული სახით. ეს დანაკლისი აუცილებლად უნდა გასწორდეს.

ის, რომ ჩვენ არ მოვითხოვეთ OSPE, OSCE-ის გამოცდების შეფასების სისტემის დოკუმენტი, სიმართლეს არ შეესაბამება. აღნიშნული დოკუმენტები ჩვენ მოვთხოვეთ პროგრამის ხელმძღვანელს და მათი არსებობის შემთხვევაში, ინტერვიუს დასრულების შემდეგ წესით უნდა მიგვეღო, მაგრამ არ მიგვიღია. თუ zoom-ის ჩანაწერი არსებობს, ამის დადასტურება პრობლემას არ წარმოადგენს. რაც შეეხება ახლა დანართის სახით მიღებულ დოკუმენტაციას, დოკუმენტებში ნამდვილად არის წარმოდგენილი სადგურების შეფასების ფურცლები. თუმცა ზოგიერ სილაბუსთან მაინც არ არის თანხვედრაში, მაგ, ოპერაციული ოდონტოლოგიის საფანტომო კურსი, ენდოდონტიის საფანტომო კურსი, ენდოდონტიის კლინიკური კურსი - გამოცდის აღწერაში წერია - „ეს კრიტერიუმი მოიცავს სტუდენტის

ექიმთან ასისტირებას კლინიკაში პრაქტიკული/კლინიკური უნარების შემუშავებას და დემონსტრირებას“ - რა შუაშია კლინიკაში ექიმის ასისტირება? ქულების განაწილებაც სილაბუსებში განსხავებულია. ასევე, გამოგზავნილი დანართიდან ირკვევა, რომ ყველა შეფასების ფურცელი OSCE-საა, მიგვაჩნია, რომ საფანტომო კურსებზე გამოცდის ეს ფორმა უნდა შეიცვალოს OSPE-ით - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდით.

ასევე, რჩევის სახით, გამოცდილებასთან ერთად სასურველია გამოცდის სადგურების რაოდენობის გაზრდა, რადგან 8 სადგურზე ნაკლები გამოცდის ეს ფორმა არარელევანტურია, ამისათვის კი უმჯობრესი იქნება, თუ გამოცდის 40 ქულა იქნება მხოლოდ OSCE.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურის უმეტესობა თანამედროვეა. ლიტერატურა სტუდენტებისთვის ხელისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ასევე სტუდენტის ელექტრონულ ბაზაში, ელექტრონული ვერსიის სახით. გარდა სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვადასხვა სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობას. თვითშეფასების დოკუმენტიდან და ასევე ინტერვიუდან დასტურდება, რომ პანდემიის გამო ონლაინ სწავლებაზე გადასვლამ აუცილებელი გახადა ექსტრემალურ პირობებში მუშაობა, რასაც უნივერსიტეტმა საკმაოდ კარგად გაართვა თავი, ონლაინ კომუნიკაციისთვის გამოყენებულ იქნა Moodle პლათფორმა, რომელზეც ლექტორების მიერ იტვირთებოდა ლექციები და სხვა დამატებითი მასალები.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე სილაბუსში სასწავლო კურსის შინაარსით გაწერილი და სწავლის შედეგის მისაღებად აუცილებელი ზოგიერთი რესურსი მითითებული არ იყო. ინტერვიუს დროს ამაზე გვიპასუხეს, რომ არსებულ თემატიკაზე ლიტერატურა არ არსებობს და სტუდენტებს სთავაზობენ ე.წ. ჰენდაუთებს. აუცილებელია, რომ სილაბუსის და კურსის ავტორების მიერ შექმნილი პრეზენტაციები და ე.წ. რიდერები, ჰენდაუთები, რომელიც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ბეჭდური თუ ელექტრონული ფორმით, ასევე ასახული იყოს სასწავლო კურსის სილაბუსებშიც (მაგ., ქირურგიული სტომატოლოგია 1 და 2).

ზოგიერთ სილაბუსში ლიტერატურული წყარო მითითებულია გამომცემლობის, გამოცემის წელის გარეშე, რაც უნდა გასწორდეს.

ვადასტურებთ, რომ ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან ონლაინ ჩართვის დროს ყველა ჩვენს მიერ მოთხოვნილი ლიტერატურა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ირიცხებოდა და სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია.

სილაბუსებში ასევე შეუსაბამობა იყო სასწავლო კურსის მიზანს, შედეგსა და სასწავლო კურსის შინაარს შორის. ზოგჯერ მიზანი არ იყო ასახული შედეგში, ან შედეგი არ იყო კორელაციაში შინაარსთან. რაც ყველაზე თვალში საცემი იყო, თითქმის ყველა სასწავლო კურსის შედეგად გამოტანილი იყო საგანმანათლებლო პროგრამის 12 შედეგიდან რომელიმე ერთი ან ორი შედეგი. რათქმაუნდა პროგრამის მიზანიც ისაა, რომ სასწავლო კურსის შედეგი გადიოდეს პროგრამის შედეგთან, მაგრამ წარმოუდგენელია სწავლების

განსაკუთრებით დაბალ სემესტრებში კურსის შედეგი პროგრამის ყველა შედეგზე გადიოდეს. მაგალითად, მე-2 სემესტრში, კლინიკური უნარები 1-ის გავლის შემდეგ სტუდენტი ვერაფრით შეძლებს დიფერენციალური დიაგნოზის გატარებას, დიაგნოზის დასმას, მას ხომ ნოზოლოგიები ჯერ შესწავლილი არ აქვს; სტომატოლოგიური მასალები, რომელსაც სტუდენტი მე-3 სემესტრში გადის, შედეგში ჩანს, რომ სტუდენტი ახდენს დიაგნოზის ფორმულირებას, სამკურნალო ღონისძიებების შერჩევას და განხორციელებას, შინაარსში კი ამაზე არაფერი წერია; ქირურგიული სტომატოლოგიის საფანტომო კურსი, მე-4 სემესტრი, შინაარსის მიხედვით ისწავლება მაშები, ელევატორები, რაც შედეგში არ ჩანს. პირის ღრუს ქირურგია 1, მე-5 სემესტრი, შედეგში წერია, რომ სტუდენტს შეუძლია პაციენტზე ანესთეზიის გაკეთება, რეალურად კი ანესთეზიას აკეთებენ ფანტომზე და სხვა. აუცილებელია არსებული ხარვეზის გამოსწორება, ინტერვიუს დროს აღნიშნულ შენიშვნაზე გვითხრეს, რომ ეს გემოვნების საკითხია, რაზეც ვერ დავეთანხმებით! თუ არის იმის სურვილი, რომ სილაბუსში ჩანდეს პროგრამის რომელ შედეგზე გადის კონკრეტული სასწავლო კურსი, მაშინ შედეგიდან რამენაირად უნდა გამოიყოს (მაგალითად ქვედა ხაზით, bold-ით, ან სხვა) კონკრეტულად ამ სასწავლო კურსისთვის მიღწევადი შედეგის ფრაგმენტი. დაწესებულება არგუმენტირებულ პასუხში თავად აღნიშნავს, რომ *„რათქმაუნდა, ერთი სასწავლო კურსი ვერ უზრუნველყოფს პროგრამის კონკრეტულ შედეგზე სრულად გასვლას. ამისათვის, უნივერსიტეტში გვაქვს შესაბამისი პროგრამის დანართი - პროგრამის სწავლის შედეგების რუკა - სადაც ასახულია, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სრულად მიღწევა რომელი სასწავლო კურსების ერთობლიობით ხორციელდება*“; ჩვენი აზრით სილაბუსი უნდა მოიცავდეს კონკრეტული სასწავლო კურსის შესახებ ინფორმაციას და დაინტერესებულ პირს არ უნდა სჭირდებოდეს დანართებიდან ინფორმაციის მოძიება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ონლაინ დათვალიერება; ○ სილაბუსები; ○ კურიკულუმის რუკა; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, ელექტრონული პორტალი.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, ლიტერატურული რესურსები, შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის მიზანი, შედეგი და შინაარსი; ○ დაკონკრეტდეს ფანტომებზე, პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი, ამ ჩამონათვალში არსებულ თითოეულ მანიპულაციას მიენიჭოს ქულა, რომელსაც სტუდენტი მიიღებს მისი შესრულების შემდეგ. ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურების შექმნით ან რაიმე სხვა დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტისთვის;

- გამოცდის შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად, ჩანდეს რომელი კომპეტენციების შეფასება იგეგმება და როგორ იქნება ქულობრივად გადანაწილებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნებოდა, თუ გარკვეული ფორმით მოხდება მაღალ კურსებზე სასწავლო კურსების მოდიფიცირება და მათში ოპერაციული ოდონტოლოგიისა და ენდოდონტიის ინტეგრირება.
- გამოცდილებასთან ერთად სასურველია OSCE-ს სადგურების რაოდენობის გაზრდა, რადგან 8 სადგურზე ნაკლები გამოცდის ეს ფორმა არარელევანტურია, ამისათვის კი უმჯობრესი იქნება, თუ გამოცდის ფორმა იქნება მხოლოდ OSCE, რომელიც შეფასდება მაქსიმალური 40 ქულით.
- საფანტომო კურსებზე OSCE შეიცვალოს OSPE-ით - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- წინა აკრედიტაციის შემდეგ გაუმჯობესდა მატერიალური რესურსი, სტუდენტი უზრუნველყოფილია სათანადო აღჭურვილობის მქონე საფანტომო კლასით.

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
* **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო კურსები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, სინთეზის და სხვა უნარების განვითარებას. სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ ბაზისური ცოდნა კვლევის ტიპებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, გაეცნონ როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ როგორც ევროპის უნივერსიტეტის, ასევე სხვა უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში.

პრაქტიკული უნარების შეძენა-განვითარებას ხელს უწყობს პროგრამის ფარგლებში

კლინიკური სასწავლო კურსების არსებობა, რომლებიც კლინიკებში ხორციელდება. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სასწავლო ლაბორატორიებით, სიმულაციური ცენტრითა და საფანტომო კლასით და ამ სივრცეებში მუშაობისას განივითარონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, უნივერსიტეტის მიერ პერიოდულად გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი, სადაც ხვდება მედიცინის ფაკულტეტის კონფერენციაზე წარდგენილ საუკეთესო მოხსენებებზე დაყრდნობით შემუშავებული სტატიები, რომელთა შორის ამ ეტაპზე სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტების მიერ წარმოდგენილი მოხსენებები ვერ მოხვდა. უნივერსიტეტს კავშირები აქვს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, მათ შორის მედიცინის მიმართულებით, სტუდენტები მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში, მაგრამ სტომატოლოგიის პროგრამიდან ჯერ-ჯერობით აღნიშნული აქტივობა არ განხორციელებულა. ინტერვიუს დროს დაგვიდასტურეს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს, თუმცა მსოფლიოში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ჯერ-ჯერობით შეჩერებულია. სასურველია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება, კონკრეტულად სტომატოლოგიის პროგრამასთან მიმართებით, სადაც განსაზღვრული იქნება ახლო მომავალში განსახორციელებელი კონკრეტული ნაბიჯები მეტი საერთაშორისო კავშირის დასამყარებლად და გაცვლითი პროგრამების ასამოქმედებლად; გაიზარდოს სტუდენთა ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და საერთაშორისო კონფერენციებში, ადგილობრივი და საერთაშორისო გაცვლით პროექტებში. სტუდენტებს გაეზარდოთ საერთაშორისო მობილობით სარგებლობის შესაძლებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სტუდენტური კონფერენციების ამსახველი მასალა; ○ ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებში მეტად წახალისდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და სტუდენტებს მიეცეთ სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვისა და შრომების გამოქვეყნების მეტი შესაძლებლობა. ○ სასურველია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება კონკრეტულად სტომატოლოგიის პროგრამასთან მიმართებაში, გაიზარდოს სტუდენთა ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებში, საერთაშორისო გაცვლით პროექტებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

* **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
  მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს, ასევე, სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მეტნაკლებად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ინტერაქტიული ლექციები (ახსნა-განმარტება, ინტერაქტიული მუშაობა, აუდიო-ვიზუალური მუშაობა), სემინარები (დისკუსია/დებატები, როლური თამაშები, ჯგუფური (გუნდური) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება), პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები (პრაქტიკული უნარების დემონსტრირება, ლაბორატორიული მუშაობა, სიმულაციურ ცენტრში მეცადინეობა სიმულატორებსა და მანეკენების გამოყენებით, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, კლინიკური პრაქტიკა). პრეზენტაციები, პაციენტებზე მარტივი მანიპულაციების ჩატარება, ექიმების ყურება და ასისტირება. სწავლების ამგვარი მეთოდებისა და მათი კომპონენტების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდური და გუნდური მუშაობის შესაძლებლობების, ანალიზის უნარის განვითარებას და კვლევის უნარის ჩამოყალიბებას. სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მეტწილად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, დიდი ყურადღება ეთმობა თეორიულ სწავლებას და პრაქტიკული უნარების ათვისებას მანეკენებსა და ფანტომებზე მუშაობით, ექიმების ასისტირებით და ყურებით, რაც ერთის მხრივ ნამდვილად უზრუნველყოფს სტუდენტის ინტეგრირებას კლინიკურ სივრცეში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. პაციენტებთან მეტი დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაციები, ანამნეზის შეკრება, დიაგნოზის დასმა, პრაქტიკული უნარების განვითარება (მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ) აუცილებელია ამ სპეციალობის პროგრამის სტუდენტებისთვის. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს ზემოჩამოთვლილი სწავლების მეთოდები, თუმცა ვერ გაიხსენეს პაციენტებზე მანიპულაციების ჩატარება, ვერც სტომატოლოგიური მომსახურეობის ღირებულების შესახებ მივიღეთ კონკრეტული პასუხი. სასურველია უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ ბაზებზე პაციენტებისთვის სტუდენტებთან მკურნალობა იყოს შეძლებისდაგვარად იაფი და შეღავათიანი.

როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა, სტომატოლოგიურ ბაზებზე სტუდენტების პრაქტიკული საქმიანობისთვის კონკრეტულად სტუდენტისთვის სავარძელი/სავარძლები გამოყოფილი არაა. სტუდენტებისთვის პაციენტების მიღება არის ნებაყოფლობითი, ამაში ისინი არანაირ ქულას არ იღებენ, შესაბამისად არც ფასდებიან. ჩნდება ეჭვი, რომ პრაქტიკული მეცადინეობების დროს სტუდენტთა ნაწილი უბრალოდ პასიური მაყურებელია. კითხვაზე, თუ რატომ არ იღებენ სტუდენტები პაციენტებს, პასუხი იყო, რომ ყველა კლინიკას შეიძლება არ ჰქონდეს პაციენტის მიღების რესურსი, შეიძლება ყველა სტუდენტმა ვერ შეძლოს პაციენტის მიღება, და იმისათვის, რომ სტუდენტებიც და ლექტორებიც იყვნენ თანაბარ პირობებში, პაციენტების მიღება სავალდებულო არაა. სტუდენტების ინტერვიუდან ირკვევა, რომ მათ პაციენტი არ მიუღიათ, რადგან მათი თქმით, მათ არ აქვთ ამის უფლება. საქართველოს კანონმდებლობით ეს დასაშვებია (კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 14.2.ა). პროგრამის ერთ-ერთი მიზანიც ხომ კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მიღებაა, ამიტომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პაციენტებთან მუშაობას.

პროგრამა უნდა გაძლიერდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლის თვალსაზრისით. გაიზარდოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. სტუდენტისთვის პაციენტის მიღება უნდა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში მინიჭებული ექნება კონკრეტული, წინასწარგანსაზღვრული ქულა. ეს რეკომენდაცია უნივერსიტეტისთვის მიღწევადია, რადგან უნივერსიტეტს მემორანდუმები აქვს გაფორმებული ბევრ წარმატებულ სტომატოლოგიურ კლინიკასთან, ჰყავს ისეთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც ნამდვილად შეძლებს ამ ამოცანის შესრულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- სილაბუსები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვირტუალური დათვალიერება.

რეკომენდაციები:

- გაძლიერდეს სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. სტუდენტისთვის პაციენტის მიღება უნდა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, როგორც მიღებულია მსოფლიოს ძალიან ბევრს უმაღლეს სასწავლებელში და საქართველოს კანონმდებლობითაც დასაშვებია, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში მინიჭებული ექნება კონკრეტული ქულა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ ბაზებზე პაციენტებისთვის სტუდენტებთან მკურნალობა იყოს შეძლებისდაგვარად იაფი და შეღავათიანი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პრაქტიკული უნარების დახვეწის მიზნით სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა „კლინიკური უნარები 3 და 4“, სტომატოლოგიური მასალები
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან * **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში მოცემულია სტუდენტის შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლას, თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, ასევე, ინფორმაციას საკუთარი სუსტი მხარეების და მათი გაუმჯობესების შესახებ. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, ხდება მიღებული შეფასების შედეგების ანალიზი (შეფასების პირდაპირი მეთოდი) და მათი სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებისთვის გამოყენება. ცვლილებები შეიძლება გულისხმობდეს: პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების, კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების შეცვლას და სხვა. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ მიიღონ, სასწავლო კურსის სილაბუსებიდან, რომლებიც განთავსებულია სტუდენტსა და სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს შორის მასალების საკომუნიკაციოდ უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე, სტუდენტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში, ისე მასწავლებლის

მეშვეობით. კურსის განმახორციელებლებს აქვთ ვალდებულება სტუდენტებს სილაბუსი გააცნონ კურსის დასაწყისშივე, გაარჩიონ და მოისმინონ სტუდენტთა შეხედულებები.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტისთვის გამჭვირვალეა ინფორმაცია მისი შუალედური შეფასებების შესახებ, მათ აქვთ შესაძლებლობა გაიგონ შედეგები და მიიღონ ინფორმაცია დაშვებული ხარვეზების შესახებ. საგამოცდო ნაშრომები დაშიფრულია და შესაბამისად შეფასების პროცედურებიც უფრო ობიექტურია.

უნივერსიტეტში გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ზეპირი გამოკითხვა, ტესტი - MCQ, ღია კითხვა, პრეზენტაცია, პრაქტიკული აქტივობა, ქვიზი, ლაბორატორიული მუშაობა, კლინიკური შემთხვევის განხილვა, იგეგმება OSPE, OSCE, რაც ასევე გაწერილია სილაბუსებშიც, თუმცა სადგურების დეტალიზაციის გარეშე. ინტერვიუს დროს დაგვიდასტურეს, რომ გამოცდის ეს ფორმა წესით წელს უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა ეპიდსიტუაციიდან და სწავლების ონლაინ-რეჟიმზე გადასვლის გამო, ვერ მოხერხდა.

სასწავლო კურსის სილაბუსებში პრაქტიკული უნარების შეფასება საფანტომო და კლინიკურ კლასებში მოისაზრება, მინიჭებული აქვს ქულა, თუმცა არ ჩანს რა მანიპულაციები ფასდება ფანტომზე, რა პაციენტზე. აუცილებელია შეფასდეს ჩატარებული უნარები და მოხდეს ამ უნარების სტანდარტიზება და აღრიცხვა. აუცილებლად უნდა მიეთითოს კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევის შემდეგ მიიღება. იგივე ეხება OSPE, OSCE-ის გამოცდების შეფასებას. ყველა სასწავლო კურსში, სადაც ეს მეთოდი გამოიყენება, მითითებულია მხოლოდ 20 ქულა, 4 სადგური და თითოეული 5 ქულა. შეფასების კრიტერიუმებიც არის ძალიან ზოგადი და ყველა სადგურისთვის ერთნაირი, ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ შეფასების ფურცლები ყველა სასწავლო კურსისთვის ჯერ მზად არაა, აკრედიტაციისთვის კი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს დასრულებული სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- სილაბუსები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვირტუალური დათვალიერება.
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
- Moodle-ს ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტის ელექტრონული საინფორმაციო სისტემა.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სტომატოლოგიური მიმართულების სასწავლო კურსის სილაბუსებში დეტალურად აღიწეროს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა პრაქტიკულ ნაწილში, ფანტომებზე და პაციენტებთან მუშაობის დროს, მითითებული იყოს კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევით მიიღება.
- OSPE, OSCE-ის გამოცდების შეფასების სისტემა იყოს სრულყოფილი, ყველა შემადგენელი კომპონენტით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, თუ ფინალური გამოცდის გამსვლელი ქულა გაიზრდება და იქნება 50%+1-ზე მაღალი, 60% მაინც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ უნივერსიტეტში მიმდინარეობს OSPE, OSCE-ის გამოცდის დანერგვა
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან * **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		*		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სტუდენტთა ინფორმირება/კონსულტირება ძირითადად ხორციელდება ფაკულტეტის დეკანისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მიერ. აღნიშნული საკითხები რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა“ და უნივერსიტეტის დებულებით.

სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით ასევე განსაზღვრულია ტუტორებისა და ლექტორის თანაშემწის ფუნქციები. გარდა ამისა, სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის სერვისებით. პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, რომელთა შესახებაც მათ ინფორმაცია მიეწოდებათ უნივერსიტეტის მხრიდან. სტუდენტებს აქვთ შესალებლობა, მიიღონ კონსულტაციები პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რაც განსაზღვრულია სემესტრულად დადგენილი საკონსულტაციო შეხვედრების განრიგით. საკონსულტაციო მომსახურება ასევე გულისხმობს სტუდენტთა კონსულტირებას კარიერულ წინსვლასა და დასაქმებაზე, რაც ხორციელდება დამსაქმებლებთან შეხვედრებით. ეს ფაქტი სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ვერ გაიხსენეს, ამიტომ სასურველი იქნება, თუ უნივერსიტეტში გაიზრდება სტუდენტთა და დამსაქმებელთა შორის ეფექტური კომუნიკაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ უნივერსიტეტის დებულება; ○ სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ გაიზარდოს სტუდენტთა და დამსაქმებელთა შორის ეფექტური კომუნიკაცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	*			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში საგანმანათლებლო სასწავლო პროცესს უძღვება აკადემიური პერსონალი და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული ვადით მოწვეული ლექტორები.

აკადემიურ თანამდებობებზე რექტორის ბრძანებით დანიშნულნი არიან კონკურსის წესით შერჩეული, სათანადო სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირები.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 121 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 43 აკადემიური პერსონალი და 78 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორის 7 პროფესორია (მათ შორის 5 აფილირებული პროფესორი), 10 ასოცირებული პროფესორი (მათ შორის 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი), 16 ასისტენტ-პროფესორი (მათ შორის 10 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი), 10 ასისტენტი (მათ შორის 3 აფილირებული ასისტენტი).

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი დიპლომებით, სერტიფიკატებით, პრაქტიკული გამოცდილებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა შემუშავებულია სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის გადანაწილება ხორციელდება ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამასად.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ასევე ითვალისწინებს სტუდენტებთან საკონსულტაციო საათსაც, კერძოდ კვირაში 2 საათს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა, მოდიფიცირებისა და განვითარების პროცესში, რაც ინტერვიუს პერიოდშიც დადასტურდა.

აკადემიური პერსონალი ჩართულია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაშიც, თუმცა აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროგამის ფარგლებში ჯერჯერობით აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების აქტივობა საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებს, მივლინებებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობა ინტერვიუს ფარგლებში არ გამოკვეთილა. ინტერნაციონალისზაციის სტრატეგია ამ კუთხით არ არის გამოკვეთილი და სუსტ მხარედ ვლინდება, თუმცა ინტერვიუს დროს დაწესებულებამ დაადასტურა ამ კუთხით დაწყებული ღონისძიებები, რომლებიც მსოფლიოში არსებული ეპიდსიტუაციის გამო შეჩერებულია.

ეჭვგარეშეა და დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელების მაღალი კვალიფიკაცია და უნარი უხელმძღვანელონ სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება - განვითარების პროცესს. პროგრამების შემუშავებისა და განვითარების გარდა პროგრამის ხელმძღვანელები ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელების პროცესში, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად ახდენენ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების მონიტორინგს, მუდმივად არიან ჩართულნი სტუდენტთა კონსულტირების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;

- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროგრამის ხელმძღვანელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://eu.edu.ge/ge).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აუცილებელ პირობად მიგვაჩნია პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, მივლინებები და ექსტრაკურიკულური აქტივობები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

* **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
  მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში რექტორის 2020 წლის 20 მარტის №83 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი“, რის საფუძველზეც ხორციელდება პერსონალის შეფასება. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „ევროპის უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურებიც“, ზემოაღნიშნული წესების შესაბამისად, შეფასების პროცესში ჩართულები არიან სტუდენტები, ადმინისტრაცია, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლები, სასწავლო პროცესის მართვის

მენეჯერები, აკადემიური პერსონალი. ფასდება როგორც სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები, ისე სასწავლო კურსის წარმართვის პროცესში ლექტორით და კურსით კმაყოფილების ხარისხი (სწავლების მეთოდები, ლექტორის მიერ კურსის წარმართვის, ცოდნის გადაცემის უნარები და სხვ.) სტუდენტები კვლევაში მონაწილეობენ სტუდენტური პლატფორმის https://eunsis.eun.edu.ge/ -ს მეშვეობით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მექანიზმი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კმაყოფილების კვლევისა და ანალიზისთვის (ფასდება მენეჯმენტის საქმიანობა, უნივერსიტეტის რესურსები, ანაზღაურების საკითხები და სხვ.) შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის წახალისებისთვის და პრობლემების და გამოწვევების იდენტიფიცირებისთვის. შეფასების შედეგების შესაბამისად რეაგირების პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის ტრენინგ-ცენტრი და გეგმავს და ახორციელებს შესაბამის გადამზადების პროგრამებს. მოქმედებს პერსონალის დაწინაურების და წახალისების სისტემა, ხორციელდება ქულობრივი შეფასება (დადგენილია მინიმალური მოთხოვნები აკადემიური პერსონალისთვის) და გათვალისწინებულია ფინანსური დანამატები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი მიღებული შედეგების ანალიზზე დაფუძნებით ადგენს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებებს და გეგმავს შესაბამის აქტივობებს. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისა და ხელშეწყობისთვის უნივერსიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში მედიცინის ფაკულტეტზე გამოყოფილია 79 934 ლარი, ხოლო 2021 წლის მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტის შესაბამისად, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის განსაზღვრული ხარჯი შეადგენს 19 720 ლარს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების, სააუდიტორო საქმიანობის შეფასების, პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანგარიშები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

* **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
  მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №17-ში.

უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სიმულაციური სტომატოლოგიური კაბინეტები და პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები (27 სამედიცინო პროფილის და 10 სტომატოლოგიური კლინიკა) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა.

აუდიტორიები აღჭურვილია სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით, აუდიტორიების ტევადობა შესაბამისობაშია პროგრამის მოცულობასთან (სტუდენტთა რაოდენობასთან).

სიმულაციური ცენტრი აღჭურვილია შესაბამისი მულაჟებით, ხელმისაწვდომია საჭირო ინვენტარი, მასალები და ინსტრუმენტები. სიმულაციური ცენტრი გამოიყენება როგორც სწავლებისთვის, ისე ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ჩასატარებლად (12 სადგური / ოთახი).

ქიმიის-ბიოქიმიის-იმუნოლოგიის, ჰისტოლოგიის, პათოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ფიზიოლოგიის ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. უსაფრთხოებისა და მომარაგებისთვის შემუშავებულია შესაბამისი ნორმები და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულ მომსახურებას უნივერსიტეტს უწევს შპს“ბიოლოგიკა“.

უნივერსიტეტში არის ორი სტომატოლოგიური სიმულაციური კაბინეტი, სადაც განთავსებულია 3 სტომატოლოგიური ბორმანქანა შესაბამისი მულაჟებით, მაგიდები და ფანტომები პორტატული ბორმანქანებით და სასტერილიზაციო სივრცე.

პროგრამით განსაზღვრული ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან / და ბეჭდური ფორმით. 2019-2020 წლებში სტომატოლოგიის პროგრამის წიგნების ფონდის გასამდიდრებლად დახარჯულია 45653 ლარი.

ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული ბაზები: EBSCO EP Package ELIT (შეიცავს 11

ბაზას), და eLFL (შეიცავს 8 ბაზას), Elsevier - ის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზაში შემავალი ბაზები: Scopus, Sciencedirect და Funding Institutional (SciVal FundingTM). ბაზების შესახებ ინფორმაცია და ბაზებით სარგებლობის წესები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ელექტრონულ პორტალზე.

სტუდენტები და პერსონალი ინფორმირებულები არიან ბიბლიოთეკის რესურსების და სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობის შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ აღნიშნული რესურსებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან;
- ვირტუალური დათვალიერების (Video) შედეგები;
- გაფორმებული მემორანდუმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

* **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
  მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტში მოცემულია სტომატოლოგიის საგანმანათლობლო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, რაც უმეტესწილად გულისხმობს შემოსავალს საგანმანათლებლო საქმიანობიდან. ბიუჯეტით გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებისა და განვითარების მხარდაჭერა, რაც მოიცავს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, ინტერნაციონალიზაციას,

სტუდენტურ კონფერენციებს, პროფესიულ პრაქტიკას და სხვა. გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	*			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის წარმატებული განხორციელების და ფუნქციონირების აუცილებელი ელემენტია სასწავლო პროცესისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის ფუნქციაა უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების მუდმივი მონიტორინგი და სრულყოფა, აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფა. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სისტემატურად მოწმდება და ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე, მათ განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამასთან და იმ სასწავლო კურსებთან, რომლებსაც ისინი ახორციელებენ კონკრეტულ პროგრამაში.

- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას განსაზღვრავს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ .
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის მთავარი პრინციპებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა.
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს პრინციპით დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე.

ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სტუდენტები გარკვეული პერიოდულობით აფასებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს, სასწავლო კურსებს, ხდება სტუდენტებისა და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, ფასდება საგამოცდო პროცესები და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ადმინისტრაციული ერთეულები. შეფასების შედეგები და აღმოჩენილი საყურადღებო საკითხები ეგზავნებათ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს რეაგირებისთვის, პროცესი მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო, საგამოცდო პროცესების გაუმჯობესებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს. შემდგომში იყენებს რა გამოკითხვის შედეგებს, აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გარკვეული პერიოდულობით აწარმოებს ლექციებზე დასწრებას მეცადინეობების მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების მიზნით. მონიტორინგის შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს, გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად და შემდგომი სრულყოფისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;

- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანალიზის შედეგების გამოყენების ანგარიში;
- სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

* **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
  მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 7 აგვისტოს №123 გადაწყვეტილებით. 2015 წელს ექსპერტთა მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა პროგრამაში.

პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა უცხოელი ექსპერტის, სტამბოლის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, მედიცინის დოქტორის, ჰანდე შარ სანჯაკლის მიერ. ექსპერტის მიერ შემუშავებული ორივე რეკომენდაცია (სტუდენტთა აკადმიური მოსწრების შეფასების დაკვირვება დინამიკაში; დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაღრმავება;) გათვალისწინებული იქნა პროგრამაში.

2019 წლის ოქტომბერში ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ (EPPM) განხორციელდა ევროპის უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. შეფასებისშემდგომი რეკომენდაციების გათვალისწინებით უნივერსიტეტმა გააძლიერა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობა და გამოაცხადა კონკურსი ტოკატ გაზიონმანფაშას უნივერსიტეტში გაცვლით

პროგრამაზე მათ შორის სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ უცხოელი გარე ექსპერტის დასკვნა; ○ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოქმი (2015); ○ დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები და ანგარიშები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს დანერგილი აქვს პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების საჭიროებების კვლევას, ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური ინფორმაციას აგროვებს და ამუშავებს შემდეგი მიმართულებებით ჩატარებულ კვლევებს:

- პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პირდაპირი (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი) და არაპირდაპირი (კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა) მეთოდების გამოყენებით;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით;
- პროგრამის მდგრადობის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;
- სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასება სტუდენტებისა და ადმინისტრაციის მიერ;
- საგამოცდო პროცესის შეფასება;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევები.

ზემოაღნიშნული კვლევების საფუძველზე პროგრამაში განხორციელებულია სხვადასხვა ცვლილება, როგორიცაა სასწავლო კურსების დამატება („სტომატოლოგიური მასალები“, „იმპლანტოლოგია“), ისე პრაქტიკის კომპონეტის გაზრდა, რაც გულისხმობს ერთის მხრივ სასწავლო გეგმის ცვლილებას (დაემატა „კლინიკური უნარები 3“ და „კლინიკური უნარები 4“), ისე სწავლება-სწავლის მეთოდიკაში აქტიურად დაინერგა CBL და PBL, ხოლო შეფასების ფორმებში OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა.

პროგრამის განვითარებისა და საერთაშორისო თუ ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, ასევე, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ხდება საგანმანათლებლო პროგრამების შედარება წარმატებულ ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროცესში მონაწილეობს პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის კომიტეტი სწავლობს ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ანალოგიურ პროგრამებს შედარებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის. აღნიშნული პროგრამა შედარდა ორ ადგილობრივ საგანმანათლებლო პროგრამასთან და ორ ევროპული უნივერსიტეტის (ვილნიუსის უნივერსიტეტი, კატალონიის საერთაშორისო უნივერსიტეტი) პროგრამასთან. „სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზის“ მიხედვით, შეფასების შედეგად ევროპის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, მაგ. დაინერგა ბაზისური სამედიცინო სასწავლო კურსების ინტეგრირებული სწავლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები; ○ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების გათვალისწინების ანგარიშები; ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, საგამოცდო პროცესების, სააუდიტორო საქმიანობის, პროგრამის წლიური შეფასების და ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შესაბამისი ანგარიშები; ○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანალიზის შედეგების გათვალისწინების ანგარიში; ○ სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	*			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს ევროპის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	*			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		*		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	*			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	*			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	*			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე **ნინო კორსანტია**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ეკატერინე ბეშკენაძე **ზურაბ ალხანიშვილი** **ვახტანგ თებიძე**